ლენტეხი news

№2. მარტი, 2024 წელი.

გამოდის თვეში ერთხელ • ვრცელდება უფასოდ

ეთერ ლიპარტელიანმა „გრანდ სლემი“ და შეყვარებულის გული ერთდროულად მოიგო!

მარტის თვეში თბილისში „გრანდ სლემი“-ს ტურნირი გაიმართა, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს.

ეს ტურნირი ორმხრივად იღბლიანი და წარმატებული აღმოჩნდა ეთერ ლიპარტელიანისთვის. ერთი ის, რომ მან ფინალში კანადელი მეტოქე, ჯესიკა კლიმკაიტი, დაამარცხა და კარიერაში პირველად თბილისის „გრანდ სლემი“-ს ოქროს მედალი მოიპოვა.

ხოლო მეორე ბედნიერება მისთვის ის იყო, რომ ასპარეზობის დასასრულს ეთერ ლიპარტელიანს შეყვარებულმა, საქართველოს ძიუდოს ნაკრების წევრმა, თემურ ნოზაძემ ხელი სთხოვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ეთერს ამ დიდ გამარჯვებას, ასევე - ლამაზი ქართული ოჯახის შექმნას. ბედნიერებას და წარმატებებს უსურვებს მას!

დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებებით, შვილად აყვანა მხოლოდ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს ან ჰეტეროსექსუალ პირებს შეეძლებათ, სქესის შეცვლა კი იკრძალება

პარლამენტში მმართველი უმრავლესობის ინიციატივით ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკონსტიტუციო ინიციატივა დარეგისტრირდება. “ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგოდ“ წარდგენილი იქნება როგორც მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი, ასევე - კონსტიტუციური კანონის პროექტი სახელწოდებით - “ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“.

თავად კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებით, კორექტირდება კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომელიც ქორწინებას, დედათა და ბავშვთა უფლებებს შეეხება. პროექტის გათვალისწინებით, აღნიშნულ მუხლს ემატება ახალი პუნქტი შემდეგი შინაარსით: - “ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“.

მმართველი პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, “ქართული ოცნების” აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ კონსტიტუციაში მკაფიოდ გაიწერება ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის გარანტიები

მდინარაძემ „საქართველოს კონსტიტუციური კანონის ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ მუხლები ასე ჩამოაყალიბა:

1. კანონმდებლობით შეიძლება მოწესრიგდეს ქორწინებასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს ითვალისწინებს.

2. არასრულწლოვანის შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ან ჰეტეროსექსუალი პირის მიერ.

3. აკრძალულია ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა.

4. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც მის გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება.

5. ბათილია საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს.

6. აკრძალულია იმგვარი შეკრება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

7. აკრძალულია იმგვარი შინაარსის ნაწარმოების, პროგრამის ან სხვა მასალის გავრცელება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

8. აკრძალულია საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

მოგვიანებით, მამუკა მდინარაძემ სკოლებთან დაკავშირებული საკითხი განმარტა და განაცხადა, რომ აკრძალვა უფლებების დაცვის საკითხს არ შეეხება:

“საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის დროს იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აშკარად შეიცავს პოპულარიზაციის და არა ვინმეს უფლებების დაცვის კონტექსტს და ნიშნებს, ამ შემთხვევაში აიკრძალება, მაგრამ როგორც კი უფლებას შეეხება, ამის აკრძალვაზე საერთოდ არც უნდა ვიფიქროთ. არათუ ვიფიქროთ, არამედ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რომ აქ ბალანსი არასდროს დაირღვეს. გავმიჯნოთ უფლებების დაცვის კონტექსტი პოპულარიზაციისგან. ეს იქნება ამ კანონის მთავარი მიღწევა მათ შორის ჩვენი მომავალი თაობების რაღაც ფსევდო-ლიბერალური პროპაგანდისგან დაცვასთან, ამ უპირატეს ინტერესთან ერთად”, – განაცხადა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე მამუკა მდინარაძემ.

მამუკა მდინარაძის თქმით, პირველ რიგში დაინიცირდება საკონსტიტუციო ცვლილებები, სადაც მკაფიოდ გაიწერება ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის გარანტიები, რის შემდეგაც ძალიან ახლო მომავალში, ასევე დაინიცირებენ შესაბამის და უფრო კონკრეტულ ცვლილებებს კანონებში, რომელიც რამდენიმე ათეულ კანონს მოიცავს.

მოამზადა ლიზა გულბანმა

ცნობილი ადამიანები ლენტეხიდან

„ქართველი პუბლიკის წინაშე გამოსვლა ჩემთვის ყოველთვის ზეიმია“ - ტენორი გიორგი ონიანი

გერმანიაში მცხოვრები საოპერო მომღერალი, ტენორი გიორგი ონიანი სვანეთში, ლენტეხის რაიონის სოფელ ხოფურში დაიბადა. ბავშვობის წლებიც იქ გაატარა და მუსიკასთან ურთიერთობა ადრეული ასაკიდან დაიწყო. სწავლის გაგრძელება საინჟინრო ეკონომიკურ ფაკულტეტზე გადაწყვიტა, თუმცა როგორც თავად ამბობს, პროფესია არასდროს ჰყვარებია. კვლავ მუსიკას დაუბრუნდა და კონსერვატორიის დასრულების შემდეგ, სწავლა მიუნხენის უნივერსიტეტის ასპირანტურაში განაგრძო.

მუსიკალური კარიერა მილანში დაიწყო. უამრავ სპექტაკლში მონაწილეობდა, როგორც “ლა სკალას”, ასევე - ევროპის სხვადასხვა პრესტიჟულ თეატრში. 16 ენაზე მღერის, ამჟამად 47-ე ოპერას სწავლობს. დატვირთული რეჟიმის მიუხედავად, სამშობლოსთან კონტაქტს მაინც არ წყვეტს და საქართველოს ხშირად სტუმრობს. საკუთარი კარიერის, ბავშვობის წლებისა და ლენტეხის შესახებ უფრო ვრცლად, გიორგი ონიანი სოციალური ქსელის საშუალებით გვესაუბრა.

დიალოგი

- გიორგი, თქვენი ინტერვიუ გაზეთ „ლენტეხიNEWS”-ისთვის ექსკლუზივია და მოდით, ჩვენი დიალოგი თქვენი ბავშვობიდან და მშობლიური კუთხის შესახებ საუბრით დავიწყოთ. გვიამბეთ თქვენი ბავშვობის შესახებ.

- ბავშვობა სვანეთში გავატარე. ლაღი და უდარდელი ბავშვობა მქონდა. არაფერს არ მაკლებდნენ მშობლები და ნათესავები. საკმაოდ ცელქი ბავშვი ვიყავი, მაგრამ არა უზრდელი. მიყვარდა თევზაობა, ნადირობა, ტყე-ღრეში ბოდიალი, ბუნებასთან კავშირი. დღესაც ვცდილობ, ყველაფერი ვაკეთო, ნადირობის გარდა. უკვე ველარ ვესვრი ცხოველებს და ფრინველებს, მეცოდებიან... მეშვიდე კლასიდან ქუთაისში გადავედი ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში, სადაც საუკეთესო სიყმაწვილის მეგობრები შევიძინე და დღემდე ასე მოვდივართ, უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ. სწორედ მათ გამო ჩავაბარე უნივერსიტეტში საინჟინრო ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რადგან ერთად ყოფნა გვინდოდა. თუმცა ის პროფესია არასდროს მყვარებია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ლენტეხის მუნიციპალიტეტს მალე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აგრარული ბაზარი ექნება

ბაზრის მშენებლობა დაბაში აღმაშენებლის ქუჩაზე აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში ერთსართულიანი შენობა მთლიანად აშენდა, მოხდა შენობის გარე ფასადის მოპირკეთება და ამ ეტაპზე შიდა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოებს შ.პ.ს. ,,ლიდერმშენი 555“ ასრულებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 87 865 ლარს შეადგენს.

სამუშაოები მონიტორინიგის მიზნით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა, გია ონიანმა მოინახულა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ბაზრის არარსებობა წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა იყო.

პროექტი მიმდინარე წლის აპრილში დასრულდება.

ლენტეხელებმა შინდისის ბრძოლის გმირის, ალეკო ონიანის, ხსოვნას პატივი მიაგეს

9 მარტს ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის საამაყო, შინდისის ბრძოლას შეწირული, შეუპოვრობისა და თავდადების მაგალითი, გაუტეხლობის სიმბოლო-ალეკო ონიანი, 43 წლის გახდებოდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს თანამებრძოლებთან ერთად უთანასწორო ბრძოლაში ჩაება რუსეთის არმიის მოტომსროლელ ასეულთან, შინდისის რკინიგზის სადგურთან, მტერს არ დანებდა, ვაჟკაცობის ნამდვილი მაგალითი აჩვენა და ნათლულ, კაპრალ რომან ზოიძესთან ერთად თავი ყუმბარით აიფეთქა. სიკვდილის შემდეგ ალეკო ონიანს ვახტანგ გორგასლის I ხარისხისა (2009) და ეროვნული გმირის (2021) ორდენი მიენიჭა. დაღუპული მებრძოლის ხსოვნის პატივსაცემად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, მარადი ლიპარტელიანმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ალეკოს საფლავი გვირგვინით შეამკეს და კიდევ ერთხელ გაიხსენეს შინდისის გმირები.

„მწუხარებას გამოვთქვამ იმ გმირების გამო, რომლებიც დღეს ჩვენთან არ არიან, მინდა, მათ მშობლებს და ყველა ახლობელს მივულოცო ალეკოს დაბადების დღე! იმიერ საქართველოში უფალმა გაანათლოს ღირსეული მამულიშვილის წმინდა სული! -აღნიშნა მარადი ლიპარტელიანმა.

ლენტეხში სამინისტროების მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გაიმართა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის, ბერდია ჩანქსელიანის, ხელმძღვანელობით სამინისტროების მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გაიმართა.

მიმდინარე წელს გაფართოებული თათბირის პირველი სხდომა შედგა, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასული წელი შეაჯამეს და სამომავლო გეგმებზე დეტალურად, ისაუბრეს.

ბერდია ჩანქსელიანმა სამსახურის უფროსებს გააცნო მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები.

მიმდინარე წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში კვლავ აქტიურად გაგრძელდება პრიორიტეტული და საჭირო პროექტების მშენებლობა, როგორიცაა: ლენტეხი-უშგულის მიმართულებით რკინაბეტონის გზის მოწყობა, ყორულდაშში სამთო ბანაკის მშენებლობა, პირველი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და მალე დაიწყება მეორე საჯარო სკოლის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები.

წელს ასევე განხორციელდება დაბის წყალმომარაგების სისტემების სრული მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ასევე დაგეგმილია მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტის, ცანაში მდებარე მიშიაკის ქარხნის დაკონსერვების სამუშაოები.

თათბირის მიმდინარეობისას ხელისუფლების წარმომადგენლებმა აგრეთვე მოისმინეს ინფორმაციები მიმდინარე პროცესებისა და სხვადასხვა სფეროში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და გაეცნენ სამსახურების ხელმძღვანელი პირების მიერ წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშს.

შეხვედრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა, დაისახა კონკრეტული გეგმები, სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალური სამსახურების კოორდინირებული მუშაობით, არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

სამუშაო შეხვედრას სამინისტროების მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი და მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე ესწრებოდნენ.

მსგავსი სახის შეხვედრები კვლავ ინტენსიურად გაგრძელდება.

სახელმწიფო რწმუნებული რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს შეხვდა

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული პაპუნა მარგველიძე რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით დეტალურად განიხილეს არსებული პროექტები, პრობლემური საკითხები და სხვადასხვა სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე იმსჯელეს საჭიროებებზე, როგორიცაა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ხარისხიანი წყალმომარაგება თუ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ხაზი გაესვა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური კოორდინაციის აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებას.

სახელმწიფო რწმუნებულმა დაავალა და მერებს მოუწოდა, მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეთ მოსახლეობასთან, რათა მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებული მათი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ. აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეების მხრიდან წამოსული პრობლემების დროული და ეფექტური გადაჭრა.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - ქრისტინა კობახიძე, ალუდა თუთისანი, ბერდია ჩანქსელიანი, რეგიონული პროექტებისა და კოორდინირების სამსახურის უფროსი - ლევან ცხვედიანი, მოადგილესთან, ზურაბ ლომინაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - ზურაბ ცაგურიშვილი, მოადგილესთან, ილია კენჭაძესთან ერთად ესწრებოდა.

ცნობილი ადამიანები ლენტეხიდან

„ქართველი პუბლიკის წინაშე გამოსვლა ჩემთვის ყოველთვის ზეიმია“ - ტენორი გიორგი ონიანი

პირველი გვერდიდან

- და მუსიკასთან ურთიერთობა როდის დაიწყეთ?

- მუსიკასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დავიწყე. პირველი სიმღერაც მახსოვს ახალი წლის ზე-იმზე, რატომღაც რუსულად ვიმღერე „ёлочка, ёлочка холодно зимой "... მერე სკოლის ანსამბლში ვმღეროდი, ლენტეხის მუსიკალურ სკოლაში 4 წელი ვიარე, შემდეგ, სამწუხაროდ, დაიხურა და მეც სპორტზე გადავერთე, კერძოდ - ჭიდაობაზე. ქართულ ჭიდაობაში რაიონის ჩემპიონატში ერთხელ მესამე ადგილიც ავიღე.

- გიორგი, შეგიძლიათ, გვიამბოთ საინტერესო ამბავი, რომელიც ლენტეხს უკავშირდება და დღემდე გახსოვთ?

- ქუთაისიდან როცა ლენტეხში დავბრუნდი, სკოლის დამთავრებამდე 4 თვე იყო დარჩენილი. საშუალო სკოლა ლენტეხში დავამთავრე. სკოლას კარგი ანსამბლი "რიჰო" ჰყავდა და მეც მაშინვე ჩავეწერე. 2 თვეში ბულგარეთში აღმოვჩნდი გასტროლებზე. ეს ჩემი პირველი გასტროლი იყო. მაშინ გუნდში ბანს ვმღეროდი, რადგან რატომღაც თვლიდნენ, რომ კაცი ბანი უნდა ყოფილიყო. მერე რამდენიმე კლასელი ჩვენთვის ვმღეროდით ხოლმე ქალაქურ სიმღერებს და მანდ აღმოვაჩინე, რომ პირველი ხმა ვარ, ტესიტურაში ჩემთვის ზღვარი არ არსებობდა. ტკბილად მახსოვს ის დრო, ის ხალხი.

დღესდღეობით, რაზეც გული მწყდება, არის ის, რომ რაიონი ძალიან დაიცალა. ნასოფლარებით გაივსო ლენტეხი. არაფერი ისე არ მიკლავს გულს, როგორც დაკეტილი, უსიცოცხლო სახლები...

- ახლა კი თქვენი პირველი როლიც რომ გაიხსენოთ, რა ემოციები ახლდა პირველ სპექტაკლს?

- თავიდან უნივერსიტეტი დავამთავრე, შემდეგ კონსერვატორია. სწორედ კონსერვატორიაში დაიდგა პერის "ევრიდიკე" და მანდ შევასრულე პირველი როლი, ორფეევსის როლი მქონდა. კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში კი ფალიაშვილის "დაისში" მალხაზის პარტია ვიმღერე. ხოლო 2000 წლის 7 მაისს ჩემი დებიუტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგა, სადაც აბესალომის პარტია ვიმღერე ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი“-დან, ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით.

- როგორც ვიცით, თქვენი საზღვარგარეთული დებიუტი "ლა–სკალას" თეატრში შედგა. გაიხსენეთ.

- “ლა-სკალას” თეატრში 2002 წლის 16 სექტემბერს მქონდა დებიუტი ვერდის პირველ ოპერაში "ობერტო, სან ბინიფაჩოს გრაფი", სადაც მთავარი როლი შევასრულე. თუმცა, მანამდე ჩემი ევროპული დებიუტი იტალიის ქალაქ რივა დელ გარდაში შედგა, სადაც გავიმარჯვე რიკარდო ძანდონაის სახელობის კონკურსში, პირველი პრემია ავიღე და როგორც გამარჯვებულს, კარმენში დონ ხოზეს როლი მომცეს. ერთ თვეში ვისწავლე ამხელა ოპერა, ისიც ფრანგულად…

- თქვენს მიერ შესრულებული როლებიდან რომელს გამოარჩევდით და რატომ?

- მას შემდეგ, უამრავი როლის სწავლა და შესრულება მომიწია. ახლა 47-ე ოპერას ვსწავლობდი. აქედან 4 ოპერა ჩეხურ ენაზე შევასრულე, 2 ფრანგულ ენაზე, 1 პოლონურად, 1 რუსულად, 2 ლათინურად, 1 ინგლისურად, დანარჩენი იტალიურად. ეგ ოპერები, თორემ სიმღერებიანად 16 ენაზე მიმღერია, მათ შორის: იაპონურად, ესპანურად, ყაზახურად, აზერბაიჯანულად და ა. შ. რომ ვთქვა, რომელია ჩემი საყვარელი როლი, ალბათ, გამიჭირდება… ბოლო დროს უფრო დრამატული პარტიები მიზიდავს, ვერისტული და მოდერნი, სადაც უფრო მეტი შესაძლებლობა მეძლევა, მსახიობური კუთხით ვითამაშო, ღრმად შევიდე როლში. ბაროკოს და რომანტიზმის ხანის ოპერებში ამის საშუალება ნაკლებად აქვს მომღერალს, ძირითადად, სტატიურად მიდის.

- როგორია თქვენი წარმატების ფორმულა?

- ჩემი წარმატების ფორმულა არის თავდაუზოგავი შრომა, დღეის გასაკეთებელი არასდროს არ უნდა გადადო ხვალისთვის და თუ შანსი არის, თუნდაც 1%, მაინც უნდა გარისკო და სცადო. გამოვა საშენოდ საქმე, თუ - არა. მთავარია, შენს თავთან იქნები მართალი და ხინჯად არ დაგრჩება გულში, რომ არ სცადე. რა თქმა უნდა, იღბლის ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია ყველა სფეროში, აღმოჩნდე საჭირო დროს საჭირო ადგილას და საჭირო ფორმაში, ეგ უკვე ზემოთ წყდება, უზენაესისგან.

- თქვენი პროფესიის ძირითადი ხიბლი რა არის?

- ჩემი პროფესიის ხიბლი ისაა, რომ ადამიანებს ბედნიერებას ვანიჭებთ. თუ შენი ხელოვნებით რამდენიმე საათით მოსწყვეტ მიწიერ რეალობას და შენს სამყაროში ამოგზაურებ, შენთან ერთად, მიზანი მიღწეულია. მგონი, ღირს ამისთვის თავის დადება. მთავარია, გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ და ბოლომდე დაიხარჯო.

- გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ. საინტერესოა, შვილებმა თუ აირჩიეს მამის პროფესია?

- მეუღლე ისტორიკოსია, ხათუნა წიკლაური, უნივერსიტეტში სტუდენტობისას გავიცანი და 30 წელია, ერთად ვართ. შვილები: რატი და დეა, რატი პოლიტიკური სოციოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს გერმანიაში, თან მუშაობს „ფილიპ მორისი“-ს კომპანიაში. დეა ახლა ამთავრებს გიმნაზიას. ჯერ არ გადაუწყვეტია, რა პროფესიას აირჩევს. სამწუხაროდ, მუსიკას არცერთი არ გაჰყვა, არც სურვილი აქვთ და არც - სათანადო მონაცემები. იმედია, ჩემი შვილიშვილები მაინც გააგრძელებენ ბაბუის კვალს. ჯერჯერობით ორი შვილიშვილი მყავს, ემილია და დავითი. ემილიას კარგი სმენა აქვს, დავითი ჯერ 9 თვისაა.

- თქვენს წარმატებაში როგორია მშობლების, ოჯახის როლი?

- რა თქმა უნდა, ოჯახს დიდი როლი მიუძღვის ყველაფერში. სიმღერის ნიჭი დედის მხრიდან დამყვა, დედაჩემის მამა ყოფილა საოცრად მუსიკალური პიროვნება. 18 წლის უკვე რეგენტი იყო და თავისი ანსამბლი ჰყავდა. მერე ომში გაიწვიეს და თურმე, ფანდური და ჭიანური წაიღო თან… სამწუხაროდ, 1942 წელს უკრაინაში დაიღუპა, 19 წლის ბიჭი.

დედაჩემი თბილისში სწავლობდა, უცხო ენების ინსტიტუტში, გერმანულის სპეციალობით. ერთ სპექტაკლს არ აცდენდა ოპერაში, ის და მისი მეგობრები მთელ ფულს და სტიპენდიას ოპერის ბილეთებში ხარჯავდნენ. დედამ ტექსტები ოპერებიდან ზეპირად იცოდა. სახლში კლასიკური მუსიკის უამრავი ჩანაწერი გვქონდა და ვიდრე დავიბადებოდი, თურმე, ოპერებს მასმენინებდა. ასე რომ, შემთხვევით არაფერი ხდება. სამწუხაროდ, მამა არ მღერის, მაგრამ სიამოვნებით ისმენს. საქართველოში ჩემს ყველა სპეკტაკლს ესწრება. ხუთი დედმამიშვილი ვართ და სმენა და სიმღერის ნიჭი ყველას აქვს, მაგრამ სხვადასხვა პროფესიაში არიან თვითრეალიზებულნი.

- სამშობლოდან შორს ყოფნას, ალბათ, ნოსტალგიაც თან ახლავს. რამდენად ხშირად ახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას?

- სამშობლოდან შორს ცხოვრება მართლაც არაა ადვილი, მაგრამ, საბედნიეროდ, შიგადაშიგ მიწევს ჩამოსვლა და მონატრების კაეშნის დაკმაყოფილება. მხოლოდ ის მიმარტივებს, რომ ოჯახი ჩემთან ერთადაა. ასევე, დღევანდელ ტექნოლოგიურ ეპოქაში იოლია ადამიანებთან დარეკვა, საუბარი, მათი დანახვა ნებისმიერ წერტილში. სოციალური ქსელები ამ კუთხით ძალიან მიადვილებს საზღვარგარეთ ცხოვრებას. ვირტუალურად საქართველოში მგონია თავი და სად ვიმყოფები, მონიტორს მიღმა ველარ ვგრძნობ. როცა საქართველოში ვარ, 15 წუთითაც ვერ შევდივარ სოციალურ ქსელებში. გერმანიაში კარგი მეგობრები, ჩემნაირი გულანთებული ქართველები შევიძინე. ერთმანეთთან დროს ხშირად ვატარებთ. გვიყვარს ყველაფერი, რაც ქართველებს უყვართ. ერთამნეთის შვილები მოვნათლეთ და დავნათესავდით. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ უცხო მიწაზე ადაპტაცია არ გამიჭირდა.

- სამომავლო გეგმებს ხომ არ გაგვიმხელთ?

- სამომავლო გეგმებზე საუბარი არ მიყვარს, რადგან გამხელილი გეგმები ეშმაკსაც ესმის. ერთს ვიტყვი, რომ სულ ახალი როლების სწავლაში ვარ. ყოველ წელს მინიმუმ ერთი ახალი პარტიის სწავლა მიწევს, რამდენიმე წლის პროგრამა უკვე დაგეგმილია. ჩემს გეგმებში საქართველოსთვისაც ყოველთვის არის ადგილი და ჩემთვის ქართველი პუბლიკის წინაშე გამოსვლა ყოველთვის ზეიმია.

მარიამ ირემაძე

პიკანტური ისტორიები

ძვირფასო მკითხველო, თქვენთვის ახალი რუბრიკა გვაქვს - „პიკანტური ისტორიები". დარწმუნებული ვართ, მოგეწონებათ და ყოველ ნომერს გულისფანცქალით დაელოდებით.

ნაშვილები

ირაკლი აბულაძე

წინა ნომრიდან

მასწავლებელ ქალს, სკოლის თვალისჩინს, ხაჭაპურებიანი კალათა რომ ეჭირა ხელში და სართულიდან სართულზე სტოვებდა მადის აღმძვრელ სურნელს, რა ექნა, როგორ გაესწორებინა მათთვის თვალი? ყველას ხომ ვერ ეტყოდა, მარტო ჩემი თუ მამამთილის „ტაქსაობის" ფულით ვეღარ ვირჩენთ თავს, დედამთილი თვეობით ვერ იღებს პენსიას, ავთოს სატრაქტორო გაჩერებულია, ოჯახი ვალებითაა გავსებული და ბავშვებისთვის ხორცს და ყველს თვეობით ვერ ვყიდულობთო.

პირველმა დღემ გაუმართლა თამრიკოს. ისე უცებ ჩაათავა ამოდენა კალათა, რომ არავინ შემოხვედრია. კონტროლის პალატის კიბიდან რომ ჩამოდიოდა, მეორე სართულის ბაქანზე შედგა, კალათა ტარით მკლავზე დაიკიდა და ცხვირსახოცი ჩამოუსვა მარჯვენა ხელის გულს, ცხიმი რომ მოეშორებინა.

ნეტავ, აქ არ გაჩერებულიყო თურმე, რამოდენა უბედურებას აიცდენდა თავიდან!

მაგრამ ერთ დღეს მაინც ხომ დადგებოდა ეს წამი, მაინც ხომ ეტყოდნენ, რომ...

— თამუნი!—შემოესმა მწეველი ქალის ბოხი, გაპრანჭული ხმა,— თამუნია ქუთათელაძე!

დანაშაულზე წასწრებულივით მიტრიალდა. მაყვალა ბალანჩივაძე იყო, მაკა (კარგახანია, მაკად გადაიკეთა თავისი სახელი)!

სამოც წლამდე ასაკის ქალს ბრეტელებიანი ყვითელი „მაიკიდან" ლამის გამოქცეოდა უშველებელი მკერდი, გალაქულფრჩხილებიანი თეთრი ფეხები ღია ქოშებში შეეყო, ხელში დიდი, ყვითელი ჩანთა ეჭირა. თმაც თითქმის ასეთსავე ფერზე შეეღება.

— მაპატიეთ, ვერ შეგნიშნეთ, ქალბატონო მაკა!—თამრიკომ ორი საფეხურით აიწია და სასწრაფოდ ყურთან აკოცასავით (თადარიგი დაიჭირა, მაკას არ მოესწრო და თავისი სისხლისფერი „ავტოგრაფი" არ დაეტოვებინა მის ლოყაზე).

— ვიფიქრე, თამუნაა... არაა თამუნა! შენა, ძვირფასო, მერიაში არ იყავი წეღან? აი, კალათით გიცანი.

— არა... დიახ...

— ხო, გენაცვალე, მე ნორასთან გახლდი, ბოჭორიშვილთან, მერე „ახალი ქუთაისის" რედაქციაში შევიარე, თენგიზას სტატია მივუტანე.

—სტატია?

— მაშ!—ხომ იცი, გენაცვალე, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი ვარ, ჩემგან ბევრი რაიმეს სწავლა შეიძლება.

— მეთოდური წერილია, ალბათ...

— აბა, რა! თენგომ მითხრა, სხვას მიუტანეო, მე მერიის და საკრებულოს დოკუმენტების გამოქვეყნებას ვერ ავუდივარო. მაგათ დაიაკლდებათ, მე—რა? დაამშვენებდნენ ჩემი სტატიით გაზეთს, რამდენი გაიყიდებოდა! არ უნდათ, ნუ უნდათ.

— კარგად გამოიყურებით... როგორც ყოველთვის, ქალბატონო მაკა!..—ტაქტიანად შეაწყვეტინა თამრიკომ.

— ოოო!.. მაშ, როგორ? ქალმა, უპირველესად, თავის მოვლა უნდა იცოდე. აი, შენ, მაგალითად, ჩემო კარგო, დროა, თმები შეიღებო. ვერ ხედავ? — საფეთქელთან უკვე თითო-ოროლა თეთრი გამოგრევია. სირცხვილია. წარბებიც უფრო უნდა გამოიქნა, უკეთ უნდა ჩაიცვა. ჩვენს გიმნაზიაში თუ გადმოხვალ, მე აგიყვან „ბუქსირზე". ხომ გინდა გადმოსვლა? შენნაირი მასწავლებლები სანთლითაა საძებნელი. მე ვეტყვი განათლებაში...

—არა... იცით, ქალბატონო მაკა, მე ძალიან მომწონს ჩემი კოლექტივი. ბაღი სახლიდან ცოტა შორს კი არის, მაგრამ ისე თბილად მიმიღეს, ისე კარგად მექცევიან...

—უჰ!—ზიზღით დაიმანჭა მაკა,—მაინც სოფელია: სად ბაღში და ისიც—ავტოქარხანაში მუშაობა და სად—ქალაქის ცენტრში. სულ სხვა დონეა!

გაგრძელება მომდევნო ნომერში

კროსვორდი



თარაზულად: 3. ლეგენდარული ბერძენი პოეტი მოკლეს ყაჩაღებმა. 5. სამშენებლო მასალა. 6. პირველი ლუწი რიცხვი. 8. კედლის სანათი. 9. ქვაზე ამოტვიფრული ორნამენტი. 11. იტალიის ნახევარკუნძული.

შვეულად: 1. მოდელიორი და პარფიუმერი კრისტიან... 2. ქალაქი ინდოეთში, სადაც დაკრძალულია ქეთევან წამებულის ნაწილები. 3. ნუმიდიის მეფე, სულას მიერ დატყვევებული. 4. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. 7. ყანის მავნებელი მწერი. 10. გუინპლენის ბრძა სატრფო.

კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. მდინარე. 5. კროლი; 6. სვე. 8. ძეი. 9. კასპი. 11. იორდანე.
შვეულად: 1. ჟიული. 2. იან. 3. მარსელი. 4. ეგვიპტე. 7. მარაო. 10. ორი.

საქართველოსთან ერთად ამ ისტორიულ გამარჯვებას ვზეიმობთ!

დიახ, ისტორია დაიწერა ჩვენს თვალწინ 26 მარტს, საქართველოს ნაკრებმა ფეხბურთში ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალურ შეხვედრაში საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებს სძლია. ანგარიშის ბედი პენალტების სერიაში გადაწყდა და საქართველოს სასარგებლოდ - 4:2 დასრულდა.

შედეგად, ისტორიაში პირველად, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ქართველი ხალხის დიდ სიხარულს უერთდება ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, რომელიც მისალოც ტექსტს ავრცელებს:

„საქართველოსთან ერთად ამ ისტორიულ გამარჯვებას ვზეიმობთ! ყველას გილოცავთ, ეროვნულ ნაკრებს კი ვუსურვებთ წარმატებას ევროპის ჩემპიონატში",- აღნიშნავენ ევროკავშირის წარმომადგენლობაში.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ღირსების ორდენზე წარადგინეს, - ამის შესახებ ირაკლი კობახიძემ პირველი რესპუბლიკის მოედანზე განაცხადა, სადაც საქართველო-საბერძნეთის მატჩის შემდეგ, თბილისის მერ კახა

კალაძესთან და ნაკრების ფეხბურთელებთან ერთად მივიდა.

მთავრობის მეთაურმა პირველი რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილ გულშემატკივარს საქართველოს ნაკრების გამარჯვება მიულოცა.

„დღეს არის უბედნიერესი დღე და ეს არის ის ბედნიერება, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს! მე პირადად, როგორც ერთი გულშემატკივარი, 30 წელი ველოდებოდი ამ დღეს - 1994 წლიდან და ბიჭებმა უდიდესი ბედნიერება მოგვანიჭეს. ეს ბიჭები არიან გმირები და გმირებს სჭირდებათ დაფასება. ესენი არიან ყველაზე ღირსეული ხალხი და ამიტომ, შალვა პაპუაშვილთან ერთად, პატარა გადაწყვეტილება მივიღეთ - ჩვენი ბიჭები წარდგენილნი იქნებიან ღირსების ორდენზე, თითოეული მათგანი! დიდი სიყვარული მინდა გამოვხატო თითოეული მათგანის და თითოეული თქვენგანის მიმართ, უბედნიერესი ვარ დღეს. გილოცავთ!" - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

* * *

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველ თამაშს დორტმუნდში, თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ 18 ივნისს ჩაატარებს.

22 ივნისს საქართველოს ნაკრები ჰამბურგში ჩეხეთს დაუპირისპირდება, ხოლო 26 ივნისს, გელზენკირხენში - პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს.

გერმანიაში ევროპის ჩემპიონატი 14 ივნისს დაიწყება და 14 ივლისს დასრულდება.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ლენტეხი news
ქიმერიონი qimerioni

მთავარი რედაქტორი: გულიზა (ნატო) გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. №16/12. • **599 10 77 94** • nato2727@gmail.com

გამომცემელი: შპს „ქიმერიონი"; კომპანიამ ტენდერში გამარჯვების გზით მოიპოვა ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის ყოველთვიური საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვების უფლება (საგაზეთო მასალების მომზადება, ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება). ხელშეკრულება №21 (12.02.2024).